პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 8 (498) ოთხშაბათი, 9 იანვარი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.

ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის დღეს მხურვალედ მოგეხალმებიან თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფესა და ამხანაგ სტალინის თანამებრძოლს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს.

მთელ თქვენს შეგნებულ ცხოვრებას თქვენ ახმართ ლენინ-სტალინის პარტიის დიად საქმეს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

თქვენ, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, თქვენი მოღვაწეობით იძლევით ხალხისადმი სამსახურის შთამაგონებელ მაგალითს, ღირსეულად ასრულებთ რა კომუნისტური პარტიის მიერ თქვენს წინაშე დასახულ ამოცანებს.

ასრულებდით რა უაღრესად პასუხისმგებლობებს პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის უველა პოსტზე, თქვენ, როგორც ჩვენი დიდი მასწავლებლების ლენინისა და სტალინის მტკიცე მიმდევარი, თქვენთვის ჩვეული ენერგიითა და სიმამაცით სჭედავდით დიდ სამამულო ომში ჩვენი სამშობლოს გამარჯვების კაცობრიობის მტრებზე.

გისურვებთ, ჩვენო მეგობარო და ამხანაგო, ძვირფასო გიორგი მაქსიმილიანეს-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

საკავშირო კ. პ. (ბ)
ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭო

საბჭოთა სპორტსმენი ასე არ იქცევა, ამხ. ბ. თედეევო!

იყო ერთი ჰაბუკი ახმეტის რაიონში. სწავლობდა, შრომობდა, ტოლ-ამხანაგებთან თამაშობდა. თავის მეგობრებში იგი გამოირჩეოდა დიდი ფიზიკური ძალით, ჭართულ ჭიდაობაში თითქმის ტოლი არა ჰყავდა. 1949 წელს იგი ჩამოვიდა თბილისში და შევიდა საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმში.

სწავლასთან ერთად პირველკურსელი ბ. თედეევი გატაცებით შეუდგა ჭიდაობის — სპორტის ამ ძნელი და რთული სახის ტექნიკისა და ტაქტიკის ათვისებას. ვარჯიშობდა ბეჯითად და ნიჭიერი ჰაბუკის დაუცხრომელმა მონდომებამ თავისი ნაყოფი გამოიღო: პირველმა შეჯიბრებებმა წარმატება მოიტანა.

ჭართული ჭიდაობის გარდა თედეევი შეუდგა თავისუფალი ჭიდაობის კანონების შესწავლას და აქაც გამოიჩინა თავი: 1951 წლის საკავშირო ასპარეზობაში მესამე, საპრიზო ადგილი დაისაკუთრა ქვემძიმე წონაში.

მოკლედ, დაეჭვია მოჭიდავე გამარჯვებებს, პრიზებს, სიგელებს, მიეჩვია ქებას და აი, აქ უმტყუნა ნებისყოფამ ფიზიკურად ძლიერ სპორტსმენს: ბოტებამ ძირს დასცა ფალავანი, რომელიც ორთავ ბეჭზე აწვენდა ძლიერ მეტოქეებს.

თბილისის 1951 წლის აბსოლუტური პირველობის გათამაშება დამთავრებული იყო. დაძაბულმა და მწვავე შერკინებამ გამოამჟღავნა გამარჯვებული: მრავალრიცხოვანი მაყურებელი გულთბილად ესალმებოდა, წარმატებას ულოცავდა უნივერსიტეტის სტუდენტს ს. მაისურაძეს. შეჯიბრების საზეიმო დახურვისათვის ყველაფერი მზად იყო და აი, დაიწყო გამარჯვებულთა დაჯილდოება.

მსაჯთა კოლეგია შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას და როდესაც ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა მ. ხერხეულიძემ მეორე ადგილზე გამოსული ბ. თედეევი გამოიძახა ჯილდოს გადასაცემად, მთელ დარბაზში გაისმა მკვახე, უკმაყოფილო რეპლიკა:

— მაღლობელი გახლავართ, თქვენი ჯილდო მე არა მჭირდება!

სპორტსმენის ამ აღმაშფოთებელმა საქციელმა საერთო გაკვირვება და გულისწყრომა გამოიწვია. 20 წლის, უდაოდ ნიჭიერი მოჭიდავე ბ. თედეევის ასეთი განცხადება შეუფერებელი, სამარცხვინო საქციელია.

რაშია საქმე, რატომ მოიქცა ასე უზრდელად ახალგაზრდა სპორტსმენი?

სამწუხაროდ, კვლავ ზევით თქმულს უნდა დავუბრუნდეთ: თავბრუდახვევა წარმატებებისაგან, რაც ასე არ ახასიათებს საბჭოთა ადამიანებს.

ამავე დროს, თედეევმა გამოამჟღავნა თავისი უკულტურობა, მსაჯთა კოლეგიის, მაყურებლებისა და სპორტული მეტოქისადმი უპატივცემულობა, მედიდურება, ყოყოჩობა. სად, რომელ წრეში ტრიალებს ეს ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელიც საბჭოთა სტუდენტის სახელს ატარებს! ამ შეუფერებელი მოქმედებით თედეევმა დაამტკიცა ისიც, რომ ფიზკულტურის ტექნიკუმში, სადაც იგი სამი წელია სწავლობს, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სტუდენტთა აღზრდის საკითხებს.

პირველი ადგილი კარგი საქმეა. აქაში ვეთანხმებით ამხ. თედეევს. მაგრამ რატომ ავიწყდება მას ერთი ჭართული ანდაზა: „მჯობნის მჯობნი არ დაიღეალა“.

პირველი ადგილისაკენ სწრაფვაც კარგია და სწორედ მისკენ უნდა ილტვოდეს ყოველი საბჭოთა სპორტსმენი. მაგრამ სპორტულ წვრთნასა და ვარჯიშთან ერთად საჭიროა სწრაფვა მაღალი კულტურის დაუფლებისაკენ, ადამიანური, ჰუმანური ჩვევების გამომუშავებისაკენ. სწორედ ყოველივე ამის შერწყმას ასახიერებს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენი და მით უფრო გულსატკენია ის, რომ საბჭოთა ფიზკულტურელების ჯანსაღ ოჯახში ასეთი უარყოფითი წევრებიც არიან.

თედეევის საქციელი მკაცრი გაკიცხვის ღირსია. სპორტსმენის ეს აღმაშფოთებელი გამოხდომა მსჯელობის საგნად უნდა გახდონ იმ ორგანიზაციებმა, რომელთა სახელს იცავს იგი: საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმმა, სპორტსაზოგადოება „ისკრის“ რესპუბლიკურმა საბჭომ, ჭიდაობის საქალაქო სექციამ.

ამ ორგანიზაციებმა უნდა შეაგნებინონ ახალგაზრდა სპორტსმენს, თუ რა დანაშაული ჩაიდინა მან. ამით ისინი ხელს შეუწყობენ, სწორ გზაზე დააყენებენ გამედიდურებულ მოჭიდავეს. ამავე დროს, თედეევმა დაუღალავად უნდა იმუშაოს კულტურის შესაძენად, ცოდნის დონის ასამაღლებლად. მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ გახდება იგი სრულყოფილი საბჭოთა სპორტსმენი.

ახალგაზრდა სპორტსმენმა უნდა შეიგნოს, რომ მისი საქციელი ჩირქს ცხებს არა მარტო მას, არამედ მის ამხანაგებს, იმ წრეს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება და მუშაობა. მისი ეს საქციელი ცდება ჩვენი, მთელ მსოფლიოში მოწინავე სპორტის ეთიკის ფარგლებს.

საბჭოთა სპორტსმენი ასე არ იქცევა, ამხ. ბ. თედეევო!

ფინური გაზეთები ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის შესახებ

ჰელსინკი. (საკდესი). ყველა ფინურმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილებზე მოათავსა ცნობა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის წინასწარი თანხმობის შესახებ მომავალ ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის შესახებ (როგორც ცნობილია, ოლიმპიური თამაშები გაიმართება 1952 წელს ჰელსინკში).

საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში ფინეთის საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა შესანიშნავი შედეგები მოიპოვეს და ისინი სამართლიანად მიეკუთვნებიან მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებს. გაზეთი „ტიუეკანსან სანომატი“ ხაზს უსვამს იმას, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სსრ კავშირი გადაიქცა ჭეშმარიტად უდიდეს სპორტულ სახელმწიფოდ, რომელსაც ჰყავს ჩინებული სპორტსმენები. გაზეთი დასძენს, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში ამ ასპარეზობას მისცემს ნამდვილად საერთაშორისო ხასიათს და გადაქცევს მას მთელ მსოფლიოს სპორტსმენთა ზეიმად.

გაზეთი „ვაპაა სანა“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცება.

გაზეთმა „ჰუვუდსტადსბლადეტმა“ გამოაქვეყნა ოლიმპიურ თამაშებისათვის ფინეთის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, ჰელსინკის მერის ფონ ფრენკელის მოკლე განცხადება, რომელიც აგრეთვე მიესალმება სსრ კავშირის სპორტსმენთა მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში.

თბილისის ფაკავნები

საქალაქო შეჯიბრება ჭართულ ჭიდაობაში

ქ. თბილისის აბსოლუტური პირველობის გათამაშება ჭართულ ჭიდაობაში, რომელიც ახლახან პირველად ჩატარდა, უდაოდ მისასალმებელია.

ცნობილია, თუ რაოდენ პოპულარობით სარგებლობს ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ეს უძველესი ეროვნული სახე. ამიერკავკასიის ხალხთა ჭიდაობის ეროვნული სახეები, კერძოდ, ჭართული ჭიდაობა, საკმაოდ ძლიერ ბაზას წარმოადგენს სამბოს, თავისუფალ და კლასიკურ მოჭიდავეთა აღსაზრდელად.

ჭართული ჭიდაობით გამოვიდნენ სპორტულ სარბიელზე ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები ქ. კობერიძე და ა. მეკოკიშვილი, სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონები სამბოში და თავისუფალ ჭიდაობაში ე. ქარქუსაშვილი, გ. როსტიაშვილი, შ. დაუშვილი და სხვ. ეროვნულ ჭიდაობაში „გიულეშში“ სცადეს პირველად თავიანთი ძალები ცნობილმა ბჭერბაიჯანელმა მოჭიდავეებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონებმა ა. ტერიანმა, მ. ბაბაევმა, ფ. დადაშევმა და სხვ.

სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში გასულ წელს ჭართული ჭიდაობა თითქმის მთლიანად მივიწყებულ იქნა. გარდა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური შეჯიბრებისა, არც ერთი რესპუბლიკური მნიშვნელობის ასპარეზობა არ ჩატარებულა, რის შედეგადაც რაიონების მთელი რიგი პირველხარისხოვანი მოჭიდავეები იძულებით „ისვენებდნენ“.

თბილისის 1951 წლის პირველობისადმი ინტერესი დასწია იმ გარემოებამ, რომ მასში არ მონაწილეობდნენ (სპატიო მიზეზებით) ჭართული ჭიდაობის განთქმული ოსტატები გ. როსტიაშვილი, ე. ქარქუსაშვილი, ო. შინჯიკაშვილი, ვ. ბალავაძე. მიუხედავად ამისა, შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 12 მოჭიდავე (72 კილოგრამის ზევით), მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა.

პირველობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ ს. მაისურაძე და ბ. თედეევი და ბრძოლაც, ძირითადად, მათ შორის გაიმართა. ერთმანეთთან შეხვედრამდე ორივე სპორტსმენი წაუგებლად იყვნენ, ხოლო მათი შერკინება დამთავრდა თედეევის გამარჯვებით (2:1) და მონაწილეებმა დაგროვეს ქულათა თანაბარი რაოდენობა (4-4). აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მიენიჭა ს. მაისურაძეს, რომელსაც მეტი სუფთა გამარჯვება ჰქონდა (მაისურაძეს — 6, თედეევს — 2).

მესამე ადგილზე ორი დამარცხებით (მაისურაძესთან და თედეევთან) გამოვიდა მექანიზაციის ტექნიკუმის სტუდენტი ი. კაჭაროზაშვილი, მეოთხეზე — უნივერსიტეტის სტუდენტი შ. ჩიკვაიძე.

შეჯიბრებამ გამოამჟღავნა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც კარგად ფლობს ჭიდაობის ტექნიკას და გამოირჩევა დიდი ფიზიკური ძალით. ესენი არიან კ. გოგილაშვილი, რომელმაც 20 წამში დამარცხა ძლიერი მოწინააღმდეგე დ. ჩაჩანიძე, ა. კიკნაძე, რომელმაც დაამარცხა განთქმული მოჭიდავე შ. ჩიკვაიძე (35 წამში) და სხვ.

სპეციალური ჯილდო კარგი ტექნიკისათვის დაიმსახურეს ს. მაისურაძემ და ი. კაჭაროზაშვილმა.

ნ. გუგუშვილი

„მედიკის“ ჟურნირი

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ჩატარდა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „მედიკის“ რესპუბლიკური საბჭოს 1951 წლის პირველობა ჭადრაკში.

ტურნირში, რომელიც საინტერესო შეხვედრებით აღინიშნა, გაიმარჯვა პირველთანრიგოსანმა ნ. ბახტაძემ (თბილისი). მან მოაგროვა 12 ქულა.

1. კოხტაგორას ფერდობებზე...

...მსაჯი მკვეთრად იქნევს ალამს. წამსვე მეთხილამურე მძლავრი ბიძგით წყდება ადგილიდან და ელვისებურად მიჰკრის ტრასაზე. ციცაბო ფერდობზე სათნეული ისწრაფით ეშვება იგი და ნათხილამურევზე წარმტაცად აიშლება თოვლის კორიანტელი.

ისევე, როგორც სხვა შეჯიბრებებში, მისი საბოლოო მიზანია დროის მოგება, მაგრამ სხვა სახეებისაგან განსხვავებით სლალომისტმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს როგორ შეამციროს ფინიშთან მისვლის დრო და მანძილი. მით უმეტეს, რომ დროის მოგება ყოველთვის როდია დამოკიდებული მხოლოდ მოძრაობის სიჩქარეზე. გაცილებით რთულია ფინიშამდე უმოკლესი გზის პოვნა, და ეს მაშინ, როდესაც დაშვების ხისწრაფი საათში 80-100 კილომეტრს აღწევს! ახალი სიჩქარე მეთხილამურეს მოფიქრებისათვის ძალზე მცირე დროს უტოვებს.

უმოკლესი გზის პოვნა! ამის საშუალება სპორტსმენს აქვს, ვინაიდან იგი ვალდებულია ტრასაზე განლაგებული ყველა კარი გაიაროს, გზის ამორჩევა კი მისი საქმეა. სწორედ აქ გამოჩნდება ხოლმე განსხვავება მეთხილამურეთა კლასსა და ტექნიკაში. სწორედ აქ „გამოიძებნება“ წამის ის ძვირფასი მეათედები, რომელთაც საბოლოოდ გამარჯვება მოაქვთ.

როდესაც სტარტზე გამოდის ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი, მრავალგზის ჩემპიონი, 22 წლის ალექსანდრე ფილატოვი, განცვიფრებაში მოდებართ მისი მსუბუქი მოხდენილი მოძრაობებით ვირტუოზული ტექნიკით შესანიშნავად გადის იგი „სამკუთხედებს“, „დიაგონალებს“, „ღია“ და „დახურულ“ კარებს. უცქერით მას და უნებლიედ გახსენდებათ ხელოვნება გამოცდილი მოკრივისა, რომელიც მოქნილად უსხლტება მეტოქის დარტყმას, უსხლტება ისეთი გამოზომილი მოძრაობით და იმდენად ზუსტად, რამდენიც საკმარისია ხიფათის ასაცილებლად.

ფილატოვის მოძრაობაც ზუსტი და ეკონომიურია. სლალომისტის „მოწინააღმდეგენი“ არიან წვრილი ჯოხები წითელი ნაჭრებით, — ისინი აღნიშნავენ კარებს. ეს ჯოხები რომ არ წააქციოს ან არ

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ გ. მ. მალენკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. მ. მალენკოვის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე მისი განსაკუთრებული დამსახურების აღსანიშნავად ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე **მალენკოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1952 წლის 7 იანვარი.

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეში“

მეჯი დახმარება ძირეულ კოლექტივებს

მაიაკოვსკის რაიონის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ საბჭოს საკმაო მუშაობა აქვს გაწეული სოფლად მასობრივი ფიზკულტურის განვითარების მხრივ. აღნიშნულ საზოგადოებაში ფიზკულტურის 16 ძირეული კოლექტივია, რომლებშიც გაერთიანებულია 1.000-მდე კოლმეურნე. რაიონული საბჭო თავისი სპორტული კალენდარის მიხედვით ატარებს შეჯიბრებებს მძღეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ძალოსნობაში და სხვ. გასულ წელს აქ ჩატარდა 15 ასპარეზობა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 600-მდე ფიზკულტურელმა.

ნაყოფიერად იმუშავეს მშთ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების გეგმების შესრულების დარგში ვარციხის, მაიაკოვსკის, საკრაულას კოლმეურნეობათა ძირეულმა კოლექტივებმა.

მაგრამ „კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოს თავის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. მაგალითად, 16 ძირეული კოლექტივიდან მარტივი ტიპის სპორტული მოედნები მოწყობილია მხოლოდ 12 კოლმეურნეობაში. დანარჩენებს — პირველი ობჩის დიმიტროვის სახელობის, მეორე ობჩის ორჯონიკიძის სახელობის, ფერსათის ტალინის სახელობის და ხანის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებს ასეთი მოედნები არა აქვთ და მათს შესაქმნელად აქ თავს მაინცდამაინც არ იწუხებენ.

აღნიშნულ ნაკლოვანებებში ბრალი მიუძღვის მაიაკოვსკის ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტსაც, რომელიც ჯერ კიდევ არ უწევს სათანადო დახმარებას „კოლმეურნეს“.

ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი „კოლმეურნის“ დასახმარებლად: მიაბაგრა კომიტეტის წევრები ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებს, სადაც მოიკოლებს მუშაობა და სხვ.

ვ. ოქრიბელაშვილი,
მაიაკოვსკის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ბაზები არა აქვთ

სოხუმის რაიონის ლ. პ. ბერიას სახელობის სუბტროპიკულ ტექნიკუმში ფიზკულტურული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის ყოველგვარი პირობა არსებობს. ტექნიკუმის ძირეული კოლექტივი, რომელიც 600-მდე წევრს აერთიანებს, ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძვის ფიზიკური კულტურის განვითარებისათვის, თავისი წევრების ტექნიკური შედეგების ამაღლებისათვის. სასწავლებლის სტუდენტები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში და წარმატებითაც იცავენ ტექნიკუმის სახელს.

სამწუხაროდ, ასეთ მონდომებულ კოლექტივს საკმაო ყურადღება არ ექცევა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა, თუ სპორტული ბაზების მდგომარეობას გავეცნობით: ტექნიკუმს არც ერთი წესიერი მოედანი არა აქვს. კალათბურთის მოედანს სერიოზული შეკეთება სჭირდება. ოდესღაც გაკეთებული საბტომი ორმო გაუქმებულია იმ მოტივით, რომ უკეთესს გააკეთებენ (!).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპორტულ ბაზებს ფიზკულტურელთა მეცადინეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს. სასწავლებლის დირექციამ და „ურაოჯაის“ რესპუბლიკურმა საბჭომ სუბტროპიკული ტექნიკუმის ძირეული კოლექტივისათვის კარგი სპორტული ბაზა უნდა შექმნან.

პ. ლეთოდიანი
(ჩვენი ხაკ. კორ.).
სოხუმი.

2. კოხტაგორას ფერდობებზე...

დაეჯახოს და არ დაჯარიმდეს, მეთხილამურეს მოკრივის მაგვარად უხდება გვერდის, თავის აქცევა, ლავირება. რაც უფრო მოქნილად აკეთებს იგი ამას, მით უფრო სწორი ხაზით მოძრაობს და ფინიშამდე იმოკლებს გზას, მით უფრო ნაკლები დრო ეკარგება მას წინააღმდეგთა დაძლევისას, მით უფრო მეტია გამარჯვების შესაძლებლობა.

წინააღმდეგის დაძლევის სისწრაფეჭ ფილატოვის ბრწყინვალე ტექნიკის მთავარი თვისება...

ბაკურიანში ხამთო მეთხილამურეთა ახლახან გამართულ შეჯიბრებაზე განთქმულ ჩემპიონებს ძლიერი მეტოქე გამოუჩნდა — ნიჭიერი არმიელი სპორტსმენი ვლადიმერ მელნიკოვი. ცნობილი მეთხილამურე დიმიტრი როსტოვცევის აღზრდილი მელნიკოვი სპორტული დახელოვნებისაკენ თავისი, განსხვავებული გზით მიდის. როგორც სლალომში, ისე სწრაფდაშვებაში ახალგაზრდა სპორტსმენმა მაღალი ოსტატობა გამოამუღავნა. როცა მსაჯთა კოლეგიამ გადაწყვიტა სწრაფდაშვების ტრასის გართულება ახალი, უჩვეულო წინაღობით — ბორცვით, მელნიკოვი ამას არ შეუშინებია, თუმცა ამ წინაღობის დაძლევა მხტომელის საქმე უფრო იყო, ვინემ სლალომისტისა.

ხურათზე მელნიკოვი აღბეჭდილია სწორედ იმ მომენტში, როდესაც კოხტას ფერდობზე თავბრუდამხვევ რბოლისას იგი „წაავწყდა“ ამ თავისებურ „ტრამპლინს“. წამით მოწყდა იგი მიწას და მყისვე რბილად, გამოზომილად დაეშვა ქვალზე.

...ზამთრის სპორტული სეზონი გაჩაღებულია. იგი ბასითდება აქამდე უნახავი მახობრივი შეჯიბრებებით, რომლებშიც თავის პირველ ნაბიჯებს აკეთებს ათასობით ახალგაზრდა სპორტსმენი.

არაჩვეულებრივი გამოცოცხლება სუფევს ჩვენი რესპუბლიკის ულამაზეს კუთხეში, მალალმთიან კურორტზე — ბაკურიანში, რომლის უმშვენიერესი ბუნება, წარმტაცი მიდამოები, ჭათქათა ღრმა

(გაგრძელება მე-3 გვ.)

სპორტის მივიწყებული სახეები

დიდი სიყვარულით სარგებლობს ჩვენს ახალგაზრდობაში სასროლო სპორტი და ბილიარდი. სამწუხაროდ, მახარაძის რაიონის ახალგაზრდობა მოკლებულია სპორტის ამ სახეებში მეცადინეობის საშუალებას სათანადო ბაზების უქონლობის გამო.

ამავე დროს, ქალაქში ბევრია ისეთი ადგილი, სადაც შესაძლებელია სასროლო ტირისა და სამილიარდო ოთახების მოწყობა. ამისათვის კი საჭიროა, რომ ფიზკულტურის კომიტეტმა დაინტერესება და ინიციატივა გამოიჩინოს.

კ. ჩხაიძე
მახარაძის რაიონი.

მხოლოდ 66,3 პროცენტით

ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობას უურადღებიდან რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, როგორიცაა საწარმოს ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლა.

ქარხნის სპორტული დარბაზის მშენებლობის დამთავრებას დღემდე ბოლო არ უჩანს; აქ არც ფეხბურთის სტადიონია, ფრენბურთის მოედანი კი იმდენად სავალალო მდგომარეობაშია, რომ შეუძლებელია მასზე საწვრთნელი ვარჯიშის ან შეჯიბრების ნორმალურად ჩატარება. ქარხნის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობისათვის გასულ წელს გამოყოფილი იყო საკმაოდ დიდი თანხა — 15 ათასი მანეთი, მაგრამ იგი დაუდევრობის გამო გამოუყენებელი დარჩა.

ოდესღაც აქ კარგად გაწვრთნილი მოკრივეები, მოჭიდავეები და კალათბურთელები ჰყავდათ, ახლა კი სულ სხვა სურათია. აღარც სპორტსმენები არიან, აღარც მწვრთნელები და არც წვრთნისათვის საჭირო ინვენტარია.

ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტების შემდეგ უკვე არავითარ გაკვირვებას არ იწვევს ის, რომ სპორტსაზოგადოება „მეტალურგის“ რაიონულმა საბჭომ (თავმჯდომარე ამხ. ს. ფუტკარაძე) გასული წლის დავალება მხოლოდ 66,3 პროცენტით შეასრულა.

დროა ასეთ უმოქმედობას ბოლო მოეღოს. „მეტალურგის“ სპორტულ ორგანიზაციებში 500 ახალგაზრდაა გაერთიანებული, რომელნიც შრომის მოწინავენი არიან; ახალგაზრდობის კანონიერი სურვილია სპორტშიც მოწინავენი იყვნენ.

ამ სურვილის განხორციელებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ზესტაფონის ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა და „მეტალურგის“ რაიონულმა საბჭომ.

კ. ფოცხვერაშვილი
ზესტაფონი.

გეგმები შესრულებულია გადაჭარბებით

სოხუმი. (ჩვენი ხაკ. კორ.). „კოლმეურნის“ აფხაზეთის ასსრ საოლქო საბჭომ გადაჭარბებით შეასრულა მშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსნების მომზადების 1951 წლის სახელმწიფო დავალება.

მშთ I საფეხურზე 3.417 კაცის ნაცვლად მომზადებულია 3.423 ნამწოსანი; II საფეხურზე 120-ის ნაცვლად ნორმატივები ჩააბარა 180 კაცმა; I თანრიგზე ოთხის ნაცვლად მომზადდა 8 სპორტსმენი, II თანრიგზე 25-ის ნაცვლად — 59, ხოლო III თანრიგზე 240-ის ნაცვლად — 279.

საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა ახალი კადრები

ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობათა ფიზკულტურული კოლექტივებისათვის ქ. ქუთაისში მოეწყო „კოლმეურნის“ ორთვიანი კურსები, სადაც 400-საათიანი პროგრამით მომზადდა საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა ახალი კადრები.

კურსების მსმენელთა შორის იყვნენ ქუთაისის, ზესტაფონის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, საჩხერის, ჭიათურის, წყალტუბოს, ონის, მახარაძის, სამტრედიის, ჩოხატაურის რაიონების მოწინავე ფიზკულტურელები. განსაკუთრებით წარმატებით ითვისეს პროგრამა ი. რევიშვილმა, დ. ჩხეიძემ, კ. ჭანტურიამ, ვ. კუპავამ, ი. მუტრტველმა, ბ. სამსონიამ და სხვ.

სჯულენჭი მეთხილამურეები

თელავი. ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეთხილამურეებმა მოაწყეს ლაშქრობა მარშრუტით თელავი—ცივა—თელავი.

ა. საბიევი

ჯვრინირი მაგიდის ჩოგბურთში

ხულხუმი. 30 სპორტსმენის მონაწილეობით დამთავრდა „ტრუდის“ საქალაქო პირველობის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში.

ი. ბახტაძე

მოსნაცლეთა შეჯიბრება

აბაშა. მოეწყო შეჯიბრება ფრენბურთში რვაწლიანი და საშუალო სკოლების გუნდებს შორის რაიონის პირველობაზე.

ვ. გუხაიძე

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი

გაიმართა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ი. ზოდელავას ანგარიშო მოხსენება ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშაობის შესახებ.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: ა. გობრონიძე (კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი), ს. რიგვავა (კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), შ. ჭობალია (კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მდივანი), ა. ბეგიაშვილი (კომკავშირის ლაგოდეხის რაიკომის მდივანი), შ. კოპალიანი (კომკავშირის ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომის მდივანი), მ. გონგლაძე (კომკავშირის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი), რ. ბზიშვილი (კომკავშირის გორის რაიკომის მდივანი), პ. თედეევი (კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), ს. კვარაცხელია (კომკავშირის წალენჯიხის რაიკომის მდივანი), გ. უმიერაშვილი (კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი), შ. ბერიანიძე (კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი), შ. გაგოშიძე (გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი), პ. ცვარიანი (კომკავშირის ცაგერის რაიკომის მდივანი), გ. გავრილოვი (კომკავშირის წალკის რაიკომის მდივანი), ა. ფარულავა (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე), ვ. ურუშაძე (კომკავშირის ლანჩხუთის რაიკომის მდივანი), ზ. თელია (კომკავშირის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი), ე. აგლაძე (პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი).

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის კომკავშირმა საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური სწავლის ხარისხი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაძლიერების შედეგად საქართველოს კომკავშირი სისტემატურად ზრდის თავის რიგებს მოწინავე ახალგაზრდობის მიღების გზით.

განუხრელად იზრდება ახალგაზრდა მუშების საწარმოო აქტივობა. თბილისის კიროვის სახელობის დიზელმშენებელი ქარხნის, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და სხვა ქალაქების მთელი რიგი საწარმოების კომკავშირელები და ახალგაზრდა მუშები შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების მაგალითს იძლევიან, სტახანოვურად მუშაობენ.

სოფლის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის, ხორბლის ნათესის, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების, ვენახების შემდგომი გაფართოებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ამასთანავე პლენუმზე აღინიშნა არსებითი ნაკლოვანებანი საქართველოს კომკავშირის მუშაობაში. გამოსულმა ამხანაგებმა გააკრიტიკეს საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები და ბიუროს წევრები იმისათვის, რომ ისინი ცუდად არიან დაკავშირებული კომკავშირულ ორგანიზაციებთან, იშვიათად აკეთებენ მოხსენებებს ახალგაზრდობისათვის.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ხშირად დაკვიანებით აცნობს კომკავშირულ ორგანიზაციებს პარტიის და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს. კომკავშირში ჯერ კიდევ სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტი ვერ წარმართავს ახალგაზრდობის აქტივობას სოციალისტური საკუთრების დამტკიცებელთა, საბჭოთა კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად. კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ვანუზრელად დაცვისათვის.

პლენუმზე საქართველოს კომკავშირის მორიგი ამოცანების შესახებ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საანგარიშო მოხსენების გამო მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

პლენუმმა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ი. ზოდელავა.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. მ. მეგრელიშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბალავაძემ და საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ე. კისელიოვმა.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციამ ამას წინათ მიიღო ამხ. ი. შონიას წერილი „სპორტის მივიწყებული უბანი“, რომელიც ეხებოდა აფხაზეთში საჭადრაკო ხელოვნების განვითარების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

წერილის ასლი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა აფხაზეთის ფიზკულტურის საოლქო კომიტეტს.

აფხაზეთის ფიზკულტურის საოლქო კომიტეტმა ამ საკითხის გარშემო სპეციალურად მოწვეულ სხდომაზე ობიექტურად განსჯა და დასახა სათანადო ღონისძიებები წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. შეძენილია საჭადრაკო ლიტერატურა და საჭირო ინვენტარი, გაიმართა შეჯიბრებები და სხვ.

სავალალო დასკვნები

პროფკავშირთა მოკრივეების შეხვედრები

გაიმართა საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა 1951 წლის პირად-გუნდური პირველობა კრივში. 42 მოკრივე, რომელთა შორის მრავალად იყვნენ ახალგაზრდები, 3 დღის განმავლობაში ებრძოდა ერთმანეთს საპატიო ადგილის მოსაპოვებლად.

გუნდურ ჩათვლაში 15 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა „პიშჩევიკის“ კარგად მომზადებულმა, ენერგიულმა კოლექტივმა (მწვრთნელი მ. ბერიევი), რომლის მოკრივეებმა კ. ფარსადანოვმა (უმსუბუქესი წონა), ა. ტასალოვმა (მსუბუქი წონა), ლ. ასატუროვმა (ქვემსუბუქი წონა), გ. შამიროვმა (მსუბუქი წონა), ტ. მიქაელიანმა (II საშუალო წონა) და გ. ტაბატაძემ (მძიმე წონა) თავიანთ წონით კატეგორიებში მოიპოვეს პირველი ადგილები.

„ისკრის“ კოლექტივმა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ბ. მელაძე), რომელიც უმთავრესად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მოკრივეებისაგან შედგებოდა, 7 ქულით დაიკავა მეორე ადგილი. გუნდის წევრებმა რ. არზუმანოვმა (II ქვესაშუალო წონა) და ბ. ხუციშვილმა (I საშუალო წონა) გაიმარჯვეს თავიანთ წონებში.

„ნაუკის“ სპორტსმენებმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი შ. გორგასლიძე) მოაგროვეს 5 ქულა და გავიდნენ მესამე ადგილზე. გუნდის წევრმა ნ. წურწუმიამ (ქვემძიმე წონა) მოიპოვა პირადი პირველობა.

ახალგაზრდათაგან კარგი მომზადება გამოამჟღავნეს გ. ბარნაბიშვილმა („პიშჩევიკი“), ვ. ლეფსვერიძემ („ნაუკა“) და გახოკიძემ („ისკრა“).

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის პროფსაბჭოს სისტემის სპორტსაზოგადოებებში კრივის განვითარება დაბალ საფეხურზე დგას. დებულების თანახმად, პირველობა მეორე ჯგუფშიც უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ ვინაიდან ამ ჯგუფში განცხადება მხოლოდ „მედიკმა“ წარმოადგინა, პირველობა არ ჩატარებულა.

მიუხედავად ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სპეციალური დადგენილებისა, მთელი რიგი სპორტსაზოგადოებების ხელმძღვანელები კრივის განვითარებისათვის თავს არ იწუხებენ. მაშ რითი უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიიღეს „ლოკომოტივმა“, „სტროიტელმა“, „ბურევესტნიკმა“, „ტრუდმა“, „კრასნოე ზნამიამ“, „კრასნაია ზვეზდამ“. ცუდადაა დაყენებული კრივის განვითარების საქმე რესპუბლიკის რაიონებში. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები არსებითად თბილისელი სპორტსმენებით იყვნენ დაკომპლექტებულნი. „ისკრის“ კოლექტივის წევრებმა სამხრეთ ოსეთიდან რ. კოჩიევმა და დ. ზანგიევმა მეტად სუსტი ტექნიკურ-ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნეს.

აღსანიშნავია შემდეგი ფაქტიც: უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულმა კლუბებმა გადაწყვიტეს ცალ-ცალკე მიეღოთ მონაწილეობა პირველობის გათამაშებაში. უნივერსიტეტმა განცხადები წარმოადგინა 21 მოკრივეზე, რომელთაგან აწონაზე გამოცხადდა მხოლოდ 7. საბოლოოდ, ზუსტად შეჯიბრების დაწყების წინ „ნაუკის“ მწვრთნელები იძულებული გახდნენ ამ ორი ძლიერი სპორტკლუბიდან შეედგინათ... ერთი გუნდი.

ყველა ეს სამწუხარო ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს კრივის განვითარების დაბალ დონეს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებებში. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება ამ სერიოზული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ბ. ქოჩქია

ვ. კოხტაგორას ფერხულებზე...

თოვლი და მცხუნვარე მზე ხათხილამურო სპორტის განვითარების შესანიშნავ პირობებს იძლევა.

სპორტის მრავალ სახეში — ძალოსნობასა და ციგურებში, მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში, გარდა ცალკეული ნომრებისა, არსებობს მრავალჭიდი. მრავალჭიდში გამარჯვებულს უწოდებენ ჩემპიონთა ჩემპიონს.

მეტად პოპულარულია მრავალჭიდი მეთხილამურეთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ ხათხილამურო მრავალჭიდში მხოლოდ ორი სახე შედის, ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც მეთხილამურე მრავალჭიდელს მეტად რთულ და ძნელ მოთხოვნებს უყენებს. ტრამპლინიდან ხტომა და რბენა 18 კილომეტრზე! პირველი მოითხოვს რისკს, სიმამაცეს,



მოქნილობას, ზუსტ გაანგარიშებას, მეორე კი გამძლეობას, მაღალ ფიზიკურ მომზადებას. დისტანციაზე ძალთა სწორად განაწილებას.

შესანიშნავად ფლობს ამ სახეებს სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მრავალჭიდელი, სვერდლოვსკელი ევგენი სამოხვალოვი. მან 1949-50 წლებში მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ტიტული ორჯერ. ხოლო 1951 წელს — ტრამპლინიდან ხტომებში.

სურათზე სამოხვალოვი აღბეჭდილია მაშინ, როდესაც იგი გადახტა 74 მეტრზე. ეს შედეგი ბაკურიანის ტრამპლინის ახალი რეკორდი იქნებოდა, რომ სამოხვალოვს მიწაზე დაშვებისას წონასწორობა არ დაეკარგა და არ დაცემულიყო.

(დასასრული მე-4 გვ.)

პირველობა სამბოში

44 სამბისტი მონაწილეობდა თბილისის 1951 წლის პირადი პირველობის გათამაშებაში. მათ შორის ჩატარებული 64 შეხვედრიდან 31 სუფთა გამარჯვებით დამთავრდა, რაც მოწმობს იმას, რომ სპორტსმენები ჰიდაობდნენ აქტიურად, მონდომებით და არ კმაყოფილდებოდნენ მცირე უპირატესობით.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები და ქალაქის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს შ. ნოზაძემ („სპარტაკი“), ხ. ზედელაშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), თ. ელერდაშვილმა, ნ. მუზაშვილმა (ორივე „დინამოდან“), მ. ბალავაძემ (უნივერსიტეტი), ვ. მაისურაძემ, ტ. ხაჭუაშვილმა (ორივე ფიზკულტურის ინსტიტუტიდან) და ო. შინჯიკაშვილმა („დინამო“).

რ. ჟორჟიძე

იზრდება მომავალი თაობა

დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა პირველობის გათამაშება კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილე 62 გუნდი ასაკის მიხედვით დაყოფილი იყო სამ ჯგუფად.

უმცროსი ასაკის გოგონებში გამარჯვება წილად ხვდათ პირველი სკოლის კალათბურთელებს, საშუალო ასაკის გუნდებში — 41-ე სკოლის წარმომადგენლებს.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ბრძოლა უფროსი ასაკის გოგონათა შორის. პირველობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ მე-16 სკოლისა და 35-ე სკოლის გუნდები, რომელთა შეხვედრა დამთავრდა პირველთა გამარჯვებით (28:26). მეორე ადგილზე გამოვიდა 35-ე სკოლის კოლექტივი.

ასპარეზობა ვაჟთა შორის ყველა ჯგუფში დაძაბულად მიმდინარეობდა. უმცროსი ასაკის ვაჟებში კარგი მომზადება გამოამჟღავნა და პირველი ადგილი დაიკავა პირველი სკოლის გუნდმა. საშუალო ასაკის გუნდებში უძლიერესი აღმოჩნდა მე-3 სკოლის კალათბურთელთა კოლექტივი.

თამაშის მაღალი კლასი და კარგი ფიზიკური მომზადება აჩვენეს მაყურებლებს უფროსი ასაკის მოსწავლეთა გუნდებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან მე-7 და პირველი სკოლების კალათბურთელები. მე-7 სკოლის გუნდმა დაუმარცხებლად ჩაატარა შეჯიბრება და დაიკავა პირველი ადგილი.

ასპარეზობამ გამოავლინა მთელი რიგი ნიჭიერი კალათბურთელები: ვაჟთა შორის — გ. მიქაძე, თ. ტოგონიძე, ა. აშიბა, გ. გაბესკირია, რ. შარავაშიძე, რ. ხომერიკი, გოგონათა შორის — ლ. დარჩია, ც. ბალანჩივაძე, ი. ჩხეიძე.

საყვედურის ღირსნი არიან ვაჟთა მე-2 და მე-6 სკოლებისა და ქალთა მე-2 და მე-6 სკოლების ხელმძღვანელები, რომლებმაც ვერ შეძლეს ვერც ერთ ასაკობრივ ჯგუფში გუნდის გამოყვანა.

მოსწავლეთა შორის კალათბურთის მეტი პოპულარიზაციისათვის კარგი იქნება, თუ თბილისის განათლების განყოფილების ფიზიკური აღზრდის ინსპექცია მოსწავლეთა ამ მასობრივ შეჯიბრებას სასწავლო წლის მანძილზე ორჯერ გამართავს — ერთხელ სპორტდარბაზებში და მეორედ — ღია ცის ქვეშ.

მსაჯთა კოლეგიამ, რომელიც მთლიანად ახალგაზრდა მსაჯებით იყო დაკომპლექტებული (მთავარი მსაჯი სპორტის ოსტატი მ. კეკელიძე), მაღალ დონეზე ჩაატარა ასპარეზობა.

ვ. ჯაფარიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

გააკეთეთ თქვენი ხელით

თხილამურის საჩბენი ჯოხი

ამ ბოლო დროს, მეთხილამურეებმა ბამბუკის ჯოხის ნაცვლად დაიწყეს ლითონის (დიურალის) ჯოხის ხმარება, მიუხედავად იმისა, რომ ბამბუკის ჯოხი უფრო ელასტიკურია და მისი პრაქტიკაში გამოყენება გაცილებით მოსახერხებელია.

თხილამურის ჯოხის გასაკეთებლად უნდა შევარჩიოთ მოკლე სახსრებიანი ბამბუკი, საშუალოდ 25-30 მმ. დიამეტრით და თვი უნდა გავსხლათ. ჯოხის სიგრძე მეთხილამურის გულმკერდს ან მხრების სიმაღლეს არ უნდა აღემატებოდეს, როგორც № 1 სურათზეა ნაჩვენები.

თხილამურის ჯოხს (იხილე № 2 სურათი) ორი ბოლოს აქვს: ზედა და ქვედა. ქვედა ბოლოში



ხურ. №1 ხურ. № 2

უკეთდება თუნუქის მილაკი, როშლის სიგრძე 11-13 სმ. არ უნდა აღემატებოდეს. ქვედა ბოლოსათვის თუნუქის გადაკვრამდე, ქვედა ცარიელ ღია სახსარს ჭიდროდ უნდა მოვარგოთ ხეებში ამოვლებული ხის საცობი. თუნუქის მილაკისათვის გამოვიყენოთ კონსერვის კოლოფი; მისგან გამოვჭრათ 11-13 სმ. ხოგრძისა და 7-8 სმ. სიგანის თუნუქის ფურცელი, რომელსაც შემოვაკრავთ ჯოხს იმნაირად, რომ თუნუქის ფურცელის ბოლოს სიბრტყის პერპენდიკულარულად.

ამის შემდეგ, ხის საცობში ლითონის საყელურის თანდაყოლებით ჩაირტყმება ან ჩაიხრახნება ფოლადის სათითური (იხილე სურათი № 4), რომლის სიგრძე უნდა უდრიდეს 2,5 ან 3 სანტიმეტრს. შემდეგ რგოლი მივამაგროთ ჯოხს მარყუჟიანი თასმით, ჭანჭიკით, მავთულით ან ჭილობერით.

ჯოხის ზევითა ბოლოზე კეთდება ტყავის მარყუჟი ჯოხის დასამაგრებლად. მარყუჟში თავისუფლად უნდა გადიოდეს ხელის შეკიწროებული მტევანი. იმ ადგილას, სადაც ხელს ვკიდებთ ჯოხს, მიზანშეწონილია ბამბუკის სახსრების გაქლიბვა და ტყავის ბოლჩის გაკეთება, რომელიც დაიცავს ხელს გაზეზვისა და სიცივისაგან (იხილე სურათი № 5).



ხურ. № 3



ხურ. № 4

იმისათვის, რომ შენახვის დროს ჯოხი არ დასველდეს სითბოსაგან, საჭიროა ყოველ სახსარში ამოიწვას 1 მმ. ნახვრეტი ჰაერის შესასვლელად.

ყოველივე ამის შემდეგ ჯოხი უნდა შევღებოთ ზეთის საღებავით და მოვარიდოთ წყლის მავნე მოქმედებას.

* * *

სურათი № 2. 1—ხელის მოსაკიდებელი ადგილი, ბოხჩა; **2** — მკლავის მტევნის დასამაგრებელი თასმის მარყუჟი: **3** — ბამბუკის ჯოხი; **4** — რგოლი. **სურათი № 3. 1** — თუნუქის გადაკრული ფურცელი 5 მმ და 10 მმ ამოშვერილი ბოლოებით; **2** — 10 მმ ბოლოს გადაღუნვა 5 მმ ბოლოზე (საუჭისებური გადაბმა); **3** — კაუჭისებური გადაბმის მეორე გადაღუნვა და გადაბმის ზოლის შეჭმნა. **სურათი № 4. 1** — ფოლადის სათითური; **2** — საყელური; **3** — თუნუქის მილაკი; **4** — რგოლის სამაგრი თასმის მარყუჟი; **5** — ჭილობერი. **სურათი № 5. 1** — ხელის მოსაკიდებელი ბოხჩის თარგი გაშლილ მდგომარეობაში; **2** — შეკერილი, მზა ბოხჩა.



ხურ. № 5

ა. წიქარიძე,
ხოხუმის ლ. პ. ბერიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

დაბალ დონეზე

წერილი რუსთავიდან

სტალინურ ეპოქაში შექმნილი ქალაქი რუსთავი დღითი დღე იზრდება და მშვენიერდება. რუსთაველს მკვიდრნი სამართლიანად ამაყობენ თავისი ქალაქის როგორც საწარმოო, ისე კულტურული მიღწევებითაც.

მაგრამ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება რუსთავში დაბალ დონეზე დგას მხოლოდ ქალაქის ფეხბურთელთა გუნდი აწარმოებს სისტემატურ წვრთნას და შედარებით ნორმალურად მეცადინეობენ ფრენბურთელები. ეს არის და ეს.

ახალგაზრდობა კი, რომელსაც სპორტულ სექციებში მეცადინეობის დიდი სურვილი აქვს, მრავლადაა. ფიზკულტურის მოყვარული ჰაბუკებსა და ქალიშვილების მისწრაფებას— ჩამოაყალიბონ გუნდები, ივარჯიშონ სპორტის სხვადასხვა სახეში, გამართონ შეჯიბრებები, აქ არავინ არ უშერს მხარს.

ქალაქში არის ორი სპორტული დარბაზი. ამათგან, ერთი—სკოლისა, თითქმის უმოქმედოა. სამი წლის წინათ აქ მუშაობდა კრივის სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი ზ. კანდელაკი. მწვრთნელის მონდომებულმა საქმიანობამ ხელმძღვანელთა მხრიდან ვერავითარი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და კანდელაკი იძულებული იყო სექციისათვის თავი დაენებებინა. შემდგომში, მოკრივეები ვარჯიშობდნენ თანრიგოსანი მოკრივე პროსკურინის ხელმძღვანელობით, მაგრამ დარბაზის რემონტის საბაბით სპორტსმენებს მალე შეაწყვეტინეს მეცადინეობა. დარბაზში კი, რომლის რემონტი არც კი დაუწყიათ, შეიტანეს მერხები და ამით „საქმე“ ამოწურა.

მეორე დარბაზი აქვს მეტალურგიულ ქარხანას, მაგრამ სპორტული ბაზა ძალზე ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. საკმარისია დაიწყოთ ბურთის თამაში, რომ მტვრის ღრუბელი ბუღი დადგეს. არ მუშაობს გასახდელიც, თუმცა საამისოდ გამოყოფილია ოთახი. დარბაზს არა აქვს წყლის ონკანიც კი, სადაც შეიძლებოდეს ხელის დაბანა. ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ სპორტდარბაზი მოთავსებულია ერთ-ერთ სამჭრის შენობაში, სადაც ქალაქიდან სიარული არც თუ ისე იოლია.

ამას წინათ, ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა კრივის მწვრთნელად რუსთავში მოავლინა სპორტის ოსტატი ა. ავეტისოვი, რომელმაც თავიდანვე ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს. მწვრთნელის სურიოზულმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო: რუსთავის გუნდმა საქართველოს 1951 წლის პირველობაზე II ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. მაგრამ ადვილი შესაძლებელია, სექციის მუშაობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდეს, რადგან არსებობს მთელი რიგი ხელის შემშლელი პირობები, რომელთა გამოსწორება შესაძლებელია, თუ ამას მოინდომებენ ხელმძღვანელი მუშაკები.

რუსთავის ახალგაზრდობას სურს ჩაებას სპორტული სექციების მეცადინეობაში, ივარჯიშოს კეთილმოწყობილ, სუფთა დარბაზებში. მათ ამ კანონიერ სურვილს ხელი უნდა შეუწყოს ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა.

ს. სოხაძე, ვ. დანილოვი, ვ. რთველაძე, გ. ჩაჩხიანი.



დილა მშვიდობისა, ამხანაგებო!

დიღის ვარჯიშების პირველი კომპლექსი

I ვარჯიში. ხელების აწევა წინ და გაშლა განზე.



საწყისი მდგომარეობა: ფეხები გაშალეთ მხრების სიგანეზე, თავი დახარეთ წინ, ხელები თავისუფლად დაუშვით ქვევით.

თვლაზე 1-2: ასწიეთ ხელები წინ და გაშალეთ განზე, გაიზნიქეთ და ჩაისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: დაუშვით ხელები საწყის მდგომარეობაში, ამოისუნთქეთ.

II ვარჯიში. ჩაჯდომა ხელების განზე აწევით.



საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, დოინჯი.

თვლაზე 1-2: ჩაჯექით ფეხის ცერებზე მუხლების განზე გაშლით, ხელები ასწიეთ განზე და ამოისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: გაიმართეთ, ხელები დაუშვით ქვევით დოინჯში და ჩაისუნთქეთ.

III ვარჯიში. ზურგზე წოლისას ერთი ფეხის დაშვება მეორის აწევით.

საწყისი მდგომარეობა: დაწექით ზურგზე, ხელები გაშალეთ ტანის გასწვრივ, ხელის გულები ქვევით, ერთი ფეხი ასწიეთ;

ყოველ თვლაზე ფეხების მდგომარეობა შეცვალეთ. ვარჯიშის დროს თანაბრად ისუნთქეთ.

IV ვარჯიში. ტანის დახრა წინ, ხელების ფეხებზე სრიალით.

საწყისი მდგომარეობა: გაშალეთ ფეხები მხრებზე ცოტათი განიერად, ხელები თავისუფლად დაუშვით ქვევით;

თვლაზე 1-2: დახარეთ ტანი წინ და ხელები დააცურეთ ფეხებზე ტერფებისაკენ, ამოისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: გაიმართეთ საწყის მდგომარეობაში და ჩაისუნთქეთ.

V ვარჯიში. ხელების თანმიმდევრული ქნევითი მოძრაობანი.



საწყისი მდგომარეობა: გაშალეთ ფეხები მხრების სიგანეზე, ერთი ხელი ასწიეთ ზევით, მეორე გასწიეთ რაც შეიძლება უკან.

ყოველ თვლაზე ქნევითი მოძრაობით შეცვალეთ ხელების მდგომარეობა. ვარჯიშის დროს თანაბრად ისუნთქეთ.

VI ვარჯიში. ტანის გვერდზე დახრა ხელის გულების ტანს გასწვრივ სრიალით.



საწყისი მდგომარეობა: გაშალეთ ფეხები განზე, ცოტათი მხრებზე განიერად, ხელები თავისუფლად დაუშვით ქვევით.

თვლაზე 1: დახარეთ ტანი მარცხნივ, მარცხენა ხელის გული დააცურეთ ფეხის გასწვრივ ქვევით მუხლისაკენ, ხოლო მარჯვენა — ტანს გასწვრივ ზევით, ამოისუნთქეთ;

თვლაზე 2: გაიმართეთ საწყის მდგომარეობაში, ჩაისუნთქეთ. შემდეგ ორ თვლაზე შეასრულეთ იგივე მოძრაობა მეორე მხარეს.

VII ვარჯიში. ადგილზე სირბილი.



ფეხები ერთად, ხელები მოხარეთ და იდაყვები გასწიეთ უკან. სირბილის დროს თანაბრად ისუნთქეთ.

ჯონ ფოსტერ დალესი და შეხვედრები

ჯონ ფოსტერ დალესი, ამერიკის რესპუბლიკანური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, უკიდურესი რეაქციონერი და ომის გამჩაღებელი თავის წიგნის „ომი თუ მშვიდობა“ (1950 წ.) მეხუთე გვერდზე ეხება სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის ურთიერთობას და, ადარებს რა მას ფეხბურთის თამაშს, წერს: „ფეხბურთში არის ძველი ხერხი, რომელიც ჯერ კიდევ გამოიყენება; მას ჰქვია „თავისუფლების სტატუია“. ერთ-ერთი თავდამსხმელი იღებს ისეთ პოზას, თითქოს ბურთის წინ დარტყმას აპირებს. დაცვა მას თავს ესხმის, ტოვებს რა საბედისწერო ნაბარალს, რომელშიც გარღვევაზე გადის მთათამაშე, მართლაც ბურთით რომ მიიწევს წინ“.

ასევე, ყოველი სახელმწიფოს მიზანია მოატყუოს მეორე სახელმწიფო მოხდენილი ფინტით, — დასძენს დალესი.

ჯერ ერთი: როგორც ჩანს, მისტერ დალესს ფეხბურთზე ძალიან პრიმიტიული წარმოდგენა აქვს; ყოველ შემთხვევაში, შეიძლება მან თავისი დაკვირვება ამერიკული ფეხბურთის საფუძველზე გააკეთა.

მეორე: რაც შეეხება საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, ეგ ფეხბურთის სულ სხვა ხანაა ასე ვიღარ თამაშობენ. როცა ბურთი ერთ მოთამაშესაც აქვს მას მთელი დაცვა, ე. ი. სამი ფეხბურთელი — მარჯვენა, ცენტრალური და მარცხენა მცველი არ ესხმის თავს. მას მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დაეცემა, ასე რომ არც ერთ მოთამაშე თავისუფალი არა რჩება... მისტერ დალესის პრიმიტიულ გონებას კი წარმოუდგენია, რომ საკმარისია ფორვარდმა, რომელსაც ბურთი აქვს, გააკეთოს მომატყუებელი მოძრაობა (თითქოს ბურთს წინ ურტყამს), რომ მთელი დაცვა მას დაესხას თავს.

ამერიკელი „ფორვარდების“ შაბლონური და გამოშკარავებული „ფინტებით“ მსოფლიოში ახლა ძალიან ცოტა ტყუვდება. სულ მალე დადგება დრო, როცა „ძია სემი“ თავისი მოძველებული „ფინტით“ ველარავის ვერ მოატყუებს: მსოფლიოს ხალხები სწავლობენ მტრების გამოცნობას და მათ „ფინტებს“.

ნ. კაკაბაძე

უნგრეთის მძლეოსანთა წარმატება

ბუდაპეშტი. უნგრეთის, ფინეთის და ნორვეგიის მძლეოსანთა შეხვედრა გასული სეზონის დასკვნით შეჯიბრებად მოგვევლინა. უნგრეთის სპორტსმენებმა ცხადყვეს თავიანთი უპირატესობა და გაიმარჯვეს შეჯიბრების პროგრამის უმრავლეს ნომრებში.

შეჯიბრების ცენტრალურ მომენტს წარმოადგენდა ევროპის უძლიერესი უროს მტყორცნელების — მსოფლიო რეკორდსმენის, უნგრელი იმრე ნემეტისა და ნორვეგიის რეკორდსმენის, ევროპის ჩემპიონის სვერე სტრანდლის ორთაბრძოლა. ამჯერად, სტრანდლიმ დამარცხება განიცადა. მსოფლიო რეკორდსმენმა ნემეტმა მიაღწია დამაჯერებელ გამარჯვებას — ურო ტყორცნა 58,87 მეტრზე (1951 წლის სეზონის მეორე შედეგი). სტრანდლიმ უჩვენა 57,88.

მოგვყავს მატჩის საუკეთესო შედეგები: **ვაუები** — 100 მ. — 10,9— პავესალო (ფინ.); 200 მ. — 22,3— კარადი (უნგრ.); 400 მ. — 49,0 — ადამიკი (უნგრ.); 800 მ. — 1:54,4— ბაკოში (უნგრ.); 1.500 მ. — 3:52,8— ბერეში (უნგრ.); 5.000 მ. — 14:42,4 — პენზეში (უნგრ.); 3.000 მ. დაბრკოლებებით — 9:14,2 — იეცენსკი (უნგრ.); 4×100 — 41,4 — უნგრეთი; 41,7 — ფინეთი; 400 მ. თარგებით — 54,2—ოზენგერი (უნგრ.); 4×400 — 3:18,0 — უნგრეთი; ჰოკი — 410 — ოლენიუსი (ფინ.); შუბი — 73,20—ნიკინენი (ფინ.); ბირთვი — 15,19 — პუნტი (ფინ.); სიგრძეზე ხტომა — 715 — ფოლდში (უნგრ.); სამკერადი ხტომა — 14,23 — ხილტუნენი (ფინ.), ბადრო — 49,60 — კლიჩი (უნგრ.); ურო — 58,87 — ნემეტი (უნგრ.); 57,88 — სტრანდლი (ნორვ.). **ქალები:** სიგრძეზე ხტომა — 583 — დიარმატი— (უნგრ.); 800 მ. 2:17,0 — ბაშკი (უნგრ.).

• • •

შესანიშნავი წარმატება ხვდა წილად უნგრეთის უძლიერეს მძლეოსანს შანდორ ლასლოს. ამას წინათ მან 50 კილომეტრზე სპორტული სიარულში აჩვენა 4.31:56,0, რითაც 9½ წუთით გაუმჯობესა ეროვნული რეკორდი. ლასლოს შედეგი აღემატება აგრეთვე ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს (4.34:03,0), რომელიც 1924 წელს დაამყარა გერმანელმა ჰ. ზიგერტმა.

აღსანიშნავია, რომ გერმანელი მძლეოსნის ოფიციალური მსოფლიო რეკორდი რამდენჯერმე იქნა გაუმჯობესებული, მათ შორის სსრ კავშირის რეკორდსმენის ა. ლიეპასკალნსის მიერაც (4.32:03,6).

მსროლელთა ასპარეზობა

სოხუმი. (ჩვენი საკ. კორ.). ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო შეჯიბრება სროლაში, რომელშიც მონაწილეობდნენ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების, „დინამოს“, „ტრუდის“, „ბურევესტნიკის“, „მედიკის“, „ვოდნიკის“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივისა“ და „ისკრის“ გუნდები.

სროლის სამივე სახეში (დგომელა, ჩოქვით და წოლით) ყველას აჯობებს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მსროლელებმა, რომლებმაც მოაგროვეს 1.116 ქულა. 998 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა „დინამომ“.

კარგი შედეგი აჩვენა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წარმომადგენელმა ნ. მოროზოვმა, რომელმაც 300 შესაძლებლიდან 244 ქულა მოაგროვა.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ორჭიდში ასპარეზობის მონაწილეს, რომელიც გადის 18 კილომეტრიან დისტანციას.

წინ არის კიდევ ბევრი, საინტერესო შეჯიბრება. ვუსურვოთ ჩვენს მეთხილამურეებს ახალი წარმატებების მოპოვება დედასამშობლოს სპორტული დიდებისათვის.

ფოტო ბ. პუშკინისა და კ. კრიმსკისა.

ტექსტი გ. არტემიძისა.

4. კოხტაგორას ფერდობებზე...

პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნირი

სპორტის ისტორიიდან

XIX საუკუნის დამდეგს მსოფლიოში მრავალი დიდოსტატი მოღვაწეობდა, მაგრამ მათ შორის უძლიერესის გამოვლინების საკითხის მოგვარება გაღაუწყვეტელი რჩებოდა იმის გამო, რომ სხვადასხვა ქვეყნის დიდოსტატები ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ. მსოფლიოს მოჭადრაკეთა ლიდერის გამოსავლინებლად საჭირო იყო ტურნირის მოწყობა მათი მონაწილეობით. და აი, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება სატურნირო სისტემით მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა შეჯვედრები.

ასი წლის წინათ, 1851 წელს მოეწყო პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ეს შეჯიბრება გამართა ლონდონის სენ-ჯორჯის საჭადრაკო კლუბმა ლონდონში მომდინარე საერთაშორისო სამრეწველო გამოფენასთან დაკავშირებით. ამ შეჯიბრების მიზანი იყო მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის გამოვლინება.

ლონდონის ტურნირის ინიციატორი და ორგანიზატორი ინგლისელი მოჭადრაკე, შექსპირის მოღვაწეობის თვალსაჩინო მკვლევარი ჰოუერდ სტაუნტონი (1810-1874) ტურნირის მონაწილეებს, სხვათა შორის, წერდა: „ყველა მოჭადრაკეს სურს გადაწყვიტოს თანამედროვე ცნობილი მოჭადრაკეების პრაქტიკული ძალის საკითხი. ამ მიზნით ჩვენ ვაწყობთ ტურნირს ყველა ქვეყნის მსურველთათვის“.

ტურნირის მესვეურნი ვარაუდობდნენ 32 გამოჩენილი მოჭადრაკის მონაწილეობას, მაგრამ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის, უნგრეთის და სხვა ქვეყნების მხოლოდ 16 მოჭადრაკემ. სპატიო მიზეზის გამო ტურნირში მონაწილეობა ვერ მიიღეს რუსეთის უძლიერესმა მოჭადრაკეებმა პეტროვმა, შუმოვმა და იანიშმა.

ლონდონის საერთაშორისო ტურნირი ჩატარებული იყო არა წრეობრივი სისტემით (როგორც ამჟამად ტარდება), არამედ ყოველი მონაწილე კენჭის ყრის შედეგად ერთ მონაწილეს მეორე მონაწილეებთან ეთამაშებოდა 3 პარტიას; ორი პარტიის წაგების შემთხვევაში იგი გადიოდა შეჯიბრებიდან (ყაიმი ანგარიშში არ შედიოდა); გამარჯვებულნი შემდგომში ერთმანეთს ხვდებოდნენ და იმავე სისტემით განაგრძობდნენ ტურნირს. სვლების მოფიქრებისათვის დრო არ იყო დაწესებული, ამიტომ ზოგიერთი მონაწილე ერთ სვლაზე შეგნებულად ფიქრობდა 2—2½ საათს, რითაც ცდილობდა მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოყვანას.

საინტერესოა ამ შეჯიბრების ზოგიერთი დეტალი. ტურნირი მიმდინარეობდა კლუბის დიდ დარბაზში, სადაც შესვლის უფლება ჰქონდათ მხოლოდ მონაწილეებს და სეკუნდანტებს ანუ მდივნებს, რომლებიც პარტიებს იწერდნენ. მონაწილეთათვის არავითარი კომფორტი არ იყო შექმნილი: ისინი თამაშობდნენ პატარა, მოუხერხებელ მაგიდებზე; დარბაზის ზემო სართულზე სვლების მოლოდინში ისხდნენ სატურნირო ფონდის ხელის მომწერნი. დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა ტურნირი, გამართული იყო ბუფეტი, რომელიც, როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, წარმოადგენდა აუცილებელ საშუალებას დიდოსტატთა ჯანმრთელობისათვის, ვინაიდან ზოგიერთი პარტია ღილის 10 საათიდან სალამოს 11 საათამდე გრძელდებოდა.

პირველ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა გერმანელმა მათემატიკის მასწავლებელმა ა. ანდერსენმა. თუმცა ანდერსენი აღიარებული იყო უძლიერეს მოჭადრაკეთა ლიდერად, მაგრამ მისთვის ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონის ტიტული არავის მიუკუთვნებია.

მეორე საერთაშორისო ტურნირი მხოლოდ 11 წლის შემდეგ, 1862 წელს მოეწყო ქ. ლონდონში, მესამე — კვლავ ლონდონში, ხუთი წლის შემდეგ, 1867 წელს.

შემდგომში, საერთაშორისო ტურნირებმა მოაგვარეს საკითხი მსოფლიო ჩემპიონის პრეტენდენტთა გამოსავლენებლად და 60-იანი წლებიდან დაიწყო ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულისათვის.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის ხალმართი № 12; დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო“. ტელეფონი 3-90-34.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ № 14 ЦЭ 00206